ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის



გზამკვლევი

2017

ძვირფასო
სტუდენტებო!

თქვენს ცხოვრებაში დგება ახალი ეტაპი.. იწყება ყველაზე აქტიური, ნაყოფიერი და საინტერესო წლები, რომლებსაც ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში გაატარებთ. სისხლსავსე სტუდენტური წლები თქვენთვის ცოდნის შეძენის, ახლის შეცნობის, მეცნიერებების დაუფლებისა და მუდმივი განსწავლის პროცესი უნდა იყოს. საუნივერსიტეტო ცხოვრება ყოველდღიური გამოწვევებისგან და სადაგი დღეების ერთობლიობისგან შედგება. ცხადია, აქ გატარებული წლები ერთნაირად წარმატებული ვერ იქნება. გამარჯვებებთან ერთად, ზოგჯერ მარცხისთვის თვალის გასწორებაც მოგიწვთ.. თუმცა, ყოველთვის გეცოდინებათ, ფეხზე მყისიერად რომ უნდა წამოდგეთ და იბრძოლოთ უკეთესისთვის..

არც ის დაგავიწყდეთ, რომ უპირველესი საზრუნავი საკუთარ თავზე მუშაობაა.. თვითგანათლება, დამოუკიდებელი შრომა მხოლოდ და მხოლოდ განავითარებს, წინ წასწევს თქვენს უნარებსა და შესაძლებლობებს. მყარ საფუძველს, რომელსაც ალმა-მატერი ჩაუყრის თქვენს განათლებას, ზედნაშენი თავად უნდა დააშენოთ - თქვენ უნდა შექმნათ, აშენოთ ის მტკიცე შენობა, რომელიც საბოლოოდ ციხე-სიმაგრედ იქცევა და დაგიცავთ ყოველგვარი მოულოდნელობებისგან, რომელთაც ცხოვრება მუდამ გვთავაზობს..

პოეტის ცნობილი სიტყვები: „ახალგაზრდობა - სურვილი ლომის!“ მუდამ გვახსენებს, რა ძალა აქვს სტუდენტობას, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თქვენი ძალისხმევა ქვეყნის სიკეთის, მისი განვითარების, წინსვლისა და ერთიანობისთვის ბრძოლას უნდა მოხმარდეს და არა ფუჭ ვნებათაღელვებსა და მავანის მიერ წაქეზებულ, წინასწარგანზრახულ ქმედებებს. ხოლო ავ-კარგის გარჩევა, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად,

სწორედ ცოდნის გროვებით, გონების მუდმივი წვრთნით მიიღწევა.

სიძნელეები რომ გაგიადვილოთ, ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, გვიგულეთ შემწედ და დამხმარედ.. პროფესორ-მასწავლებლები და ფაკულტეტის მესვეურები ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ სათანადო პირობები შეგიქმნათ სწავლისთვის, წაგახალისოთ უკეთესის ქმნისთვის.

სულ მალე, ვიზეიმებთ დიდმნიშვნელოვანი ფაქტს - ჩენი უნივერსიტეტის ასი წლის იუბილეს. თაობათა ღირსეული ცვლა, მემკვიდრეობითობა, ფასეულობათა ერთგულება - აი, ის საუნჯე, რასაც მსახურებს ჩვენი უძველესი საგანმანათლებლო კერა. ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვენი სახით კიდევ ერთი სასახელო თაობა შეემატება მათ რიცხვს, ვინც უნივერსიტეტის სახელი შორს გაიტანა და ღირსეულად ემსახურა ჩვენს ქვეყანას.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი მობრძანება ცოდნის ტაძარში! მერწმუნეთ, ყველაზე უკეთ მისმა მკვიდრებმა ვიცით, რომ მომავალი ყოველთვის თქვენ, ახალგაზრდობას გეკუთვნით!

By Lilium

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნა 2005 წელს.

ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო პროცესს უზრუნველოფს 65 პროფესორი და 41 დამხმარე სპეციალისტი.

ფაკულტეტზე სწავლობს 2968 სტუდენტი, მათ შორის ბაკალავრიატში – 2389, მაგისტრატურაში – 429, დოქტორანტურაში – 150 სტუდენტი.

სწავლების სამივე საფეხურის პროგრამები ხორციელდება, დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან გაზიარებული სწავლებისა და კვლევის სტანდარტებისა და ადგილობრივი კვალიფიციური აკადემიური პერსონალის გამოცდილების საფუძველზე და დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები:

- ინტერდისციპლინური
- პოლიტიკის მეცნიერება;
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- საზოგადოებრივი გეოგრაფია;
- სოციოლოგია და სოციალური მუშაობა;

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი

კრედიტი (1 კრედიტი = 25 საათი) წარმოადგენს სტუდენ-ტის დატვირთვის საზომ ერთეულს; ECTS-ის (კრედიტე-ბის ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა) შემოღების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ქვეყნებს შო-რის სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულ-ტეტის სტუდენტს ევალება საფაკულტეტო მოთხოვნე-ბის შესრულება და საბაზისო-საფაკულტეტო სასწავლო კურსების აღება.

საბაზისო საფაკულტეტო სწავლება მოიცავს 50 კრე-დიტს და შედგება:

ა) სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან (45კრედიტი):

1. სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი
2. სტატისტიკა I – 5 კრედიტი;
3. ინგლისური ენა (I და II) - 10 კრედიტი
4. აკადემიური წერა-5 კრედიტი
5. შესავალი კურსები სპეციალობაში – 20 კრედიტი,

ფაკულტეტი გთავაზობთ 6 შესავალ კურსს, რომელთა-გან ოთხ სავალდებულო, სტუდენტმა თავად უნდა შეარ-ჩიოს, მათ შორისაა სპეციალობის შესავალი კურსი.

ესენია:

- ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შე-სავალი – 5 კრედიტი
- პოლიტიკის მეცნიერების შესავალი– 5 კრედიტი

- საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი– 5კრედიტი;
- საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი – 5 კრედიტი;
- სოციოლოგიის შესავალი – 5 კრედიტი;
- სოციალური მუშაობის შესავალი – 5 კრედიტი;

ბ) არჩევითი სასწავლო კურსებისგან (5 კრედიტი), ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სავალდებულოა ერთი კურსის აღება

- ლოგიკა – 5 კრედიტი
- გამოყენებითი ეკონომიკა – 5 კრედიტი
- ანთროპოლოგია – 5 კრედიტი
- კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა – 5კრედიტი
- მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის) – 5კრედიტი
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია – 5კრედიტი
- გამოცდილებითი სწავლა/ სწავლების მეთოდები – 5კრედიტი

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ოდენობა განისაზღვრება 120 ECTS /კრედიტით/.

დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების არჩევა დასაშვებია, როგორც ძირითადი ფაკულტეტის, ასევე თსუ-ის სხვა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებიდან.

უცხო ენის სწავლება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სპეციალობების საჭიროებებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ინგლისური ენის შესწავლა და 10 კრედიტის დაგროვება. საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებებზე, სავალდებულოა 30 კრედიტის შესრულება. საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებს დამატებით ასევე ევალებათ 20 კრედიტის მოცულობით მეორე უცხო ენის გავლაც. ინგლისურ ენასთან ერთად სტუდენტს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მეორე უცხო ენის არჩევაც, რაც ჩაეთვლებათ თავისუფალ კრედიტებშ.

ინგლისური ენის 10 კრედიტიანი სწავლების ვალდებულებისაგან თავისუფლდება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ სერტიფიკატების მქონე სტუდენტი (CEFR B2; IELTS exam-5;BEC exam and CELS exam- Vantage; Cambridge exam FCE, Pritman ESOL International; TOEIC-541; TOEFEL (500-paper based; 173- vomputer based; 61-internet based)

რას ნიშნავს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია?

ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დასაწყისში სწავლის საფასურის გადახდას, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი), ასევე TBC PAY (სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით) ხოლო აკადემიური რეგისტრაციისას სტუდენტი თსუ-ის ბაზაში (sms.tsu.ge)ირჩევს სასწავლო დისციპლინებს.

რამდენი კრედიტის აღების უფლება აქვს სტუდენტს ყოველ სემესტრში?

სასწავლო წლის განმავლობაში ბაკალავრიატის სტუდენტს აქვს 65 კრედიტის აღების უფლება. (თითოეულ სემესტრში 30 ან და 35 კრედიტი). ასევე VIII - XII დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტს აქვს უფლება აიღოს 40 კრედიტი, თუ მას ამ დროისთვის უკვე დაგროვილი აქვს 200 კრედიტი. სტუდენტი რომელიც რვა სემესტრის განმავლობაში ვერ დააგროვებს 240 კრედიტს და არ შეასრულებს საფაკულტეტო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, დარჩენილი კრედიტების დასაგროვებლად თვითდაფინანსების საფუძველზე აიღებს დამატებით სემესტრს.

გაითვალისწინეთ, რომ სახელმწიფო გრანტი მოქმედებს მხოლოდ რვა სემესტრის განმავლობაში.

შეიძლება თუ არა ერთი და იგივე სავალდებულო საგნის ხელმეორედ არჩევა კრედიტის შეუსრებლობის შემთხვევაში?

შესაძლებელია ერთი და იგივე სავალდებულო საგნის სამჯერ არჩევა, მაგრამ მესამედ კრედიტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეგიწყდებათ სტუდენტის სტატუსი

ვის მოვმართოთ დამატებითი კითხვების და ინფორმაციის შემთხვევაში:

ვთქვენთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად სასწავლო პროგრამებისა და განრიგის შესახებ მიმართეთ:

პოლიტიკის მეცნიერება – თსუ IV კორპ., ოთახი #301, Tel -2 22 11 01 (254)

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია – თსუ VI კორპ., ოთახი #206, Tel -2 22 11 01 (234)

საერთაშორისო ურთიერთობები – თსუ IV კორპ., ოთახი #201 - 202, Tel – 2 29 03 66

საზოგადოებრივი გეოგრაფია – თსუ IV კორპ., ოთახი #211, Tel -2 22 11 01(261)

სოციალური მუშაობა და სოციოლოგია – თსუ IV კორპ., ოთახი #306, Tel – 2 25 08 19

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური-თსუ VI კორპ., ოთახი #207, Tel -225 17 35

სტუდენტთა მომსახურების ცენტრი -თსუ VI კორპ., ოთახი #104

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური -თსუ VI კორპ., ოთახი #406, Tel -2 22 11 01(228)

შენიშვნა: პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში ერთი თვის ვადაში აცნობეთ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს



პოლიტიკის მეცნიერება - **Political Science**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

პროგრამა იძლევა **ძირითადი და დამატებითი** (major, minor) სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესორები **მალხაზ მაცაბერიძე და ალექსანდრე კუხიანიძე**

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია /ქართულ ენოვანი /Journalism and Mass Communications.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი

პროგრამა იძლევა **ძირითადი და დამატებითი** (major, minor) სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

პროგრამის კოორდინატორი:

ასოცირებული პროფესორი **მანანა შამილიშვილი**

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია /ბილინგური/ Journalism and Mass Communications.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სოციალურ მეცნიერებების ბაკალავრი

პროგრამა იძლევა **ძირითადი და დამატებითი** (major, minor) სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესორები **ირინა ბიჭიკაშვილი**

საერთაშორისო ურთიერთობები International Relations

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

პროგრამა იძლევა მხოლოდ ძირითადი (major) სპეციალობების საშუალებას.

TOSHIBA
ნინო ჯალაღანიძე

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესორი **ზურაბ დავითაშვილი**

საზოგადოებრივი გეოგრაფია - Human Geography

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში

პროგრამა იძლევა **ძირითადი და დამატებითი** (major, minor) სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესორები **იოსებ სალუქვაძე** და **გიორგი გოგსაძე**

სოციალური მუშაობა- Social Work

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სოციალური მუშაობის ბაკალავრი

პროგრამა იძლევა **ძირითადი და დამატებითი** (major, minor) სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესორი **იაგო კაჭაკაჭიშვილი**

სოციოლოგია - Sociology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სოციოლოგიის ბაკალავრი

პროგრამა იძლევა **ძირითადი და დამატებითი** (major, minor) სპეციალობების კომბინირების საშუალებას.

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

პროფესორი **იაგო კაჭაკაჭიშვილი**

საფაკულტეტო რესურსები:

- ახალგაზრდა მკვლევართა ელექტრონული ჟურნალი
- სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებაში
- კომპიუტერული ცენტრები
- გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია
- მულტი მედია ცენტრი
- ტელერადიო ლაბორატორია
- პრეპრინტის ლაბორატორია
- სამკითხველო დარბაზები

ელექტრონული ბიბლიოთეკა:

სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში

ლია წულაძე

http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf

კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში

ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი
დევიდ ნაჩმიასი

https://docs.google.com/a/iliauni.edu.ge/viewer?a=v&pid=sites&srcid=aWxpYXVuaS5lZHUuZ2V8aWxpYWJyYXJ5fGd4OjU5YzczNTY1MDVhM2RjMDk

თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში

თინათინ ზურაბიშვილი

http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf

სტატისტიკა

სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში

ჰაროლდ კისი

http://www1.naec.ge/images/doc/SXVA/stud-tvitmmartv-eloba_harold-kisi.pdf

აკადემიური წერა

აკადემიური წერა

ლია წულაძე

https://sms.tsu.ge/AdminSms/Sulabus/13/231_18085_014%20Academiuri%20Cera.pdf

აკადემიური წერა დამწყებთათვის

ლია კაჭარავა
ხათუნა მარწყვიშვილი
ლილი ხეჩუაშვილი

https://sms.tsu.ge/AdminSms/Sulabus/13/231_18085_Akademiuri%20Cera%20damtskebtatvis.pdf



გისურვებთ ნაყოფიერ და წარმატებულ წელს!